



გენდერული ასპექტების ჩართვა
ბუნებრივი კატასტროფების
პრევენციის პოლიტიკაში

კვლევის ანგარიში

ქალთა ფონდი საქართველოში ფინანსური
მხარდაჭერით



WOMEN'S FUND IN GEORGIA
ქალთა ფონდი საქართველოში

21-სექტემბერი-2015

კვლევა განხორციელდა პროექტი - „დავეხმართ სტიქიით დაზარალებულებს“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდისა“ და „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის (CSDC)“ მიერ „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით.

განსაკუთრებული მადლობა

- გამოყენებითი კვლევების კომპანიას;
- „ჰელფინგ ჰენდ“ ის მოხალისეებს;
- კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ;
- ქალბატონ ინეზა ცომაიას (ექსპერტი გენდერის საკითხებში)
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის სტაჟიორს ლიზიკო ჩადუნელს

გენდერული ასპექტების ჩართვა ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის პოლიტიკაში

(საქართველო, თბილისი, 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის მაგალითზე)

შესავალი

აღნიშნული კვლევა ითვალისწინებდა აქტიურ მოხალისეობრივ ჩართულობასა და იმ ოჯახების დახმარებას, რომლებიც სტიქიის შედეგად დაზარალდნენ.

კვლევის მიზანი - გენდერული ასპექტების ჩართვა ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის პოლიტიკაში. ქ. თბილისში 2015 წლის 13 ივნისს სტიქიით დაზარალებულთა, მათ შორის ცალკე აღებული მიზნობრივი ჯგუფების - ქალებისა და ბავშვების სოციალურ-ფსიქოლოგიური საჭიროებების გამოვლენა, მათი დაუცველობისა და მდგრადობის მდგომარეობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა.

კვლევის მეთოდოლოგია - კვლევა მოიცავს ორ კომპონენტს: რაოდენობრივსა და თვისობრივს. რაოდენობრივი კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებისა და დიაგრამების სახით. თვისობრივი კვლევის ანალიზი (შინაარსი) დაყოფილია 9 ბლოკად. თითოეული ბლოკი გენდერულად სენსიტიურია და მოიცავს: დაზარალებული ოჯახების ფსიქო-სოციალურ მოთხოვნებს, სტიქიის პირობებში დაუცველობისა და მდგრადობის მდგომარეობის შეფასებას, მიმდინარე მოვლენებს, სტიქიის შედეგებზე პასუხისმგებელი სამსახურების ქმედებების შეფასებას, დაზარალებულთა პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფის ხარისხსა და დასკვნით ნაწილს.

ანკეტირება - სტრუქტურირებული ანკეტა შეივსო პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სტიქიით დაზარალებული ქალები. ანკეტა სტრუქტურული შინაარსიდან გამომდინარე შედგება ღია და დახურული კითხვებისგან. რიგ შეკითხვებზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა. (იხილეთ დანართი #1).

ინტერვიუერის ამოცანას წარმოადგენდა მაქსიმალურად მოეცვა დაზარალებული ოჯახები, რომელთა წევრებს შორის იყვნენ თვრამეტი და მეტი ასაკის ქალები. დაზარალებულთა გამოკითხვა ჩატარდა სტიქიური უბედურებიდან უახლოეს ვადებში (17-29 ივნისი) მათი დროებითი განსახლების ობიექტებში. გამოიკითხნენ მხოლოდ ქალები. თითო ოჯახში შეირჩა ერთი რესპოდენტი. მეთოდი - შემთხვევითი წესით შერჩევა. ინსტრუქციის შესაბამისად, ოჯახში ორი ან მეტი ქალის ყოფნის შემთხვევაში გამოიკითხა ის ქალი, რომელიც ასაკით უფროსი იყო დანარჩენებზე. აღნიშნული მეთოდით გამოირიცხა სუბიექტური მიდგომის შესაძლებლობა ინტერვიუერის მხრიდან. ჩვენი მონაცემებით, დაზარალებული ოჯახების საერთო რაოდენობა 102-ია. გამოკითხვაში მონაწილეობდა 83 რესპოდენტი, ანუ დაზარალებული ოჯახების საერთო რაოდენობის - 81,3%.

კვლევის ანალიტიკური თავები შეესაბამება ანკეტის ბლოკების ჩამონათვალს:

- ბლოკი 1. ოჯახის სტრუქტურა;
- ბლოკი 2. საცხოვრისი და ქონება;
- ბლოკი 3. გენდერული როლების აღქმა სტიქიური უბედურების დროს;
- ბლოკი 4. ინფორმირებულობის ხარისხი;
- ბლოკი 5. პირველადი დახმარება;
- ბლოკი 6. დროებითი განსახლება (განთავსება);
- ბლოკი 7. ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა;
- ბლოკი 8. სტიქიის შემდგომი მდგომარეობის შეფასება;
- ბლოკი 9. დასკვნა.

თვისობრივი ანალიზი

ბლოკი 1. ოჯახის სტრუქტურა

კვლევა განხორციელდა ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით (ახალგაზრდა, საშუალო და საპენსიო ასაკის ქალები). გამოკითხულ რესპოდენტთა საერთო რაოდენობიდან უმრავლესობა 26-დან 60 წლამდე ასაკის იყო. შედეგად, კვლევის ანალიზი, მეტწილად, საშუალო ასაკის ქალების შეხედულებებსა და ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას პასუხობს.

ცხრილი 1. რესპოდენტების ასაკი


ასაკი	რაოდენობა	%
18-დან 25 წლამდე	5	6
26-დან 60 წლამდე	67	80,7
61 წელი და მეტი	11	13,3

#1, #2, #3, #4 დიაგრამების ასაკობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზით გამოიკვეთა მოსახლეობის მიგრაციისა და ფემინიზაციის ტენდენცია ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის შემცველ ტერიტორიებზე.


კვლევის მონაცემებით, დაზარალებულთა შორის ძირძველი მოსახლეობის საერთო რაოდენობამ დაახლოებით 11% შეადგინა. გამოკითხულ რესპოდენტთა ოჯახების უმრავლესობა 5 სულიანია (23 ოჯახი). თუმცა დაახლოებით მეოთხედი

უფრო მრავალრიცხოვანი ოჯახია (7-13 წევრი). ჯამში 53%-ია, რაც დიდი ქალაქებისთვის არატიპურ მაჩვენებელს წარმოადგენს. ცნობილია, რომ ამ ტერიტორიების ათვისება მოხდა 60-იან წლებში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდგომ პერიოდში ქალაქის სივრცული დაგეგმარების გარეშე.

დიაგრამა 2. ოჯახში წევრთა რაოდენობა




დიაგრამა 3. გამოკითხული ოჯახების წევრთა ასაკი



კვლევით ირკვევა, რომ სტიქიის ზონაში დასახლებული ოჯახების სოციალური მდგომარეობა ამ წლების განმავლობაში არ გაუმჯობესებულა, 1/3 წარმოადგენს სოციალურად შეჭირვებული ფენის მოსახლეობას. დიაგრამა 3-ის მაჩვენებლების თანახმად 28% სპეციალური სტატუსის მქონე პირია (85 ადამიანი), აქედან: 57 სოციალურად დაუცველი, 10 დევნილი, 3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 5 მრავალშვილიანი დედა და 10 მარტოხელა დედა.

დიაგრამა 4. სპეციალური სტატუსის მქონე ოჯახის წევრთა რაოდენობა



რესპონდენტთა სოციალური მდგომარეობის სტატუსი წარმოდგენილია ცხრილში #1.


ცხრილი #2. დასაქმება-სწავლა

საჯარო მოხელე - 10,3%
ხელშეკრულებით, კერძო სექტორში - 12%
არაფორმალურ სექტორში - 3,8%
სტუდენტი/მოსწავლე - 18,5 %
პენსიონერი - 8,8 %
უმუშევარი - 45% (მათ შორის დიასახლისები)

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის შემცველ ტერიტორიებზე ცხოვრობენ საშუალოზე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 10% ლატაკია. ჩვენს შემთხვევაში ეს ციფრი, სამჯერ გაზრდილია და შეადგენს - 28%.


ქვეყნის მასშტაბით, 2014 წლის მაჩვენებლით უმუშევრობის დონე 12,4%-ს შეადგენს (ქალების - 10,4%, კაცების - 14%). რაც შეეხება ქალთა დასაქმების კოეფიციენტს, გამოწვეულია იმით, რომ ქალები არ თაკილობენ არაფორმალურ სექტორში და დაბალანაზღაურებად პოზიციებზე მუშაობას. DFWatch-ის მონაცემებით, სტატისტიკურად ქალის საშუალო შემოსავალი საქართველოში მამაკაცის შემოსავლის 2/3-ს შეადგენს, რაც შრომის ბაზარზე არსებული სეგრეგაციითა და გენდერული როლების ტრადიციული აღქმით არის გამოწვეული. ჩვენს სამიზნე ჯგუფებში ეს ციფრი თითქმის 4-ჯერ გაზრდილია და კატასტროფულ მაჩვენებელს 45%-ს შეადგენს.

დიაგრამა 5. ოჯახის წევრთა დასაქმების სტატუსი



ცნობილი ფაქტია, რომ გაზაფხულობით მდინარე ვერე გადმოდის ნაპირებიდან და მიმდებარე ტერიტორია იფარება წყლით, რაც ყოფით და ფინანსურ პრობლემებს უქმნის იქ დასახლებულ ოჯახებს. რესპოდენტებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ საყოფაცხოვრებო პრობლემების დიდი ნაწილი მოდის იქ მაცხოვრებელ ქალებზე, როგორც მრავალრიცხოვანსა და პატრიარქალურ სტერეოტიპებზე დაქვემდებარებულ კატეგორიაზე. დიაგრამა #6-ზე ნათლად ჩანს, რომ ქალების რაოდენობა ჭარბობს მამაკაცების რაოდენობას, შეფარდებით - 218/170. ოჯახის წევრთა უმრავლესობა ქალია (56,2%).

დიაგრამა 1. გამოკითხული ოჯახის წევრების გენდერული ჭრილი (რაოდენობა)




ოფიციალური ინფორმაცია: გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიისა და ჰიდროლოგიის დარგის სპეციალისტების ანგარიშის თანახმად, 2015 წლის 13-14 ივნისს მდ. ვერეს ხეობის მარჯვენა ფერდობზე ადგილი ჰქონდა გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების თანხვედრას. უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლას თან დაერთო კლდეზვავის, მეწყერის, ღვარცოფის, მდინერეებში სიღრმითი და გვერდითი ეროზიის, წყალმოვარდნის, წყალდიდობის, დატბორვისა და სეტყვის მასშტაბური განვითარება, რასაც მოჰყვა თანმდევი უარყოფითი შედეგები და ადამიანთა მსხვერპლი. სპეციალისტების მიერ სავსე პირობებში მოპოვებული ინფორმაციისა და საფონდო (ისტორიული) გეოლოგიური, ჰიდროლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე შედგა წინასწარი ანგარიში, რომელშიც მოცემულია მდ. ვერეს ხეობაში ადრეულ წლებში განვითარებული კატასტროფების სტატისტიკური მონაცემები, სტიქიის გამომწვევი ბუნებრივი მიზეზები, ცალკეული უკიდურესად გართულებული უბნების გეოდინამიკური პირობები და შემუშავებულია რეკომენდაციები სამომავლოდ დამცავი ღონისძიებების გასატარებლად, როგორც ახლო, ასევე საშუალო ვადიან პერსპექტივაში.


ბლოკი 2. საცხოვრისი და ქონება

კვლევით დადგინდა, რომ რესპოდენტთა ოჯახის წევრთა დიდი ნაწილი (85,8%) სტიქიის დღეს იმყოფებოდა სტიქიის ზონებში, შემდეგ მისამართებზე: ახალდაბა, წყნეთის ხევი, წყნეთისა და სვანეთის ქუჩები, ახალი გზის გასწვრივ ბარაკის ტიპის დასახლებები და სხვა ობიექტები.

დიაგრამა 2. იყო თუ არა ოჯახის წევრი სტიქიის ზონაში



დიაგრამა 3. გამოკითხული დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლის ადგილმდებარეობა




არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" მიერ 13-14 ივნისს თბილისში სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფის მიზეზების წინასწარი ანალიზის თანახმად, 2009 წელს საქართველოს ხელისუფლებისა და თბილისის მერიის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებები ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის შესახებ. შპს „საქგზამეცნიერებისა“ და საკონსულტაციო კომპანიის სამეცნიერო-კვლევითმა ფირმა „გამამ“ მოამზადეს „მდ. ვერეს ხეობის (ქ. თბილისის) ფარგლებში ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ანგარიში“. დოკუმენტის შესავალშივე აღნიშნულია, რომ „მდ. ვერეს ხეობის ტერიტორიაზე საავტომობილო გზის გაყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებენ მხოლოდ მისი მშენებლობისა და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დეტალური შესწავლისა და შეფასების შემდგომ“, თუმცა ეს დაპირება დაპირებად დარჩა.

მოსახლეობის ნაწილს, რომელსაც პროექტის შედეგად ჩამოეჭრა საკარმიდამო ნაკვეთები, არ მიეცა კომპენსაცია, მიწის მფლობელობის უფლებადამდგენი დოკუმენტების არქონის გამო. ანუ, არ ჩაითვალნენ პროექტის მიერ დაზარალებულად ის მოსახლეები, რომელთა სახლებზეც არ გაიარა მაგისტრალმა


ან მოახდინა სხვა ტიპის ზეგავლენა, მათ შორის გაზარდა გარემოსდაცვითი რისკები. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საავტომობილო გზიდან იმდენად მცირე მანძილით აღმოჩნდა დაშორებული, რომ მათი საცხოვრებელი პირობები ძლიერ გაუარესდა, ხოლო ქონება გაუფასურდა.

დიაგრამების #8, #9, #10, #11, #12 მაჩვენებლების შესაბამისად, ბარაკის ტიპის დასახლება 6%-ია, ხოლო კაპიტალური დასახლება 90%-ზე მეტია. რაც შეეხება დაზარალებულთა ამჟამინდელ მდგომარეობას, ირკვევა, რომ მთლიანად დაზარალებული საცხოვრებელი ობიექტები 53%-ია, კაპიტალურ შეკეთებას ექვემდებარება 29%, ხოლო რეაბილიტაციას 18%.

დიაგრამა 4. ძველი საცხოვრებლის ტიპი




დიაგრამა 5. დაზარალებულთა საცხოვრებლის ამჟამინდელი მდგომარეობა




გამოკითხვის ეტაპზე (7-17 ივლისი, 2015), დაზარალებულთა მხოლოდ 12%-მა იცოდა, უძრავ-მოძრავი ქონების ზარალის შეფასების მაჩვენებელი, 10%-მა ნაწილობრივ (მხოლოდ უძრავი ქონების), ხოლო ყველაზე მოცულობითი - 78% იყო მოლოდინის რეჟიმში (დიაგრამა #11). ეს დასკვნა დასტურდება დიაგრამა #12-ის მონაცემებით, საიდანაც ჩანს, რომ 60%-ზე მეტი ადამიანი გაურკვევლობაშია, არ გააჩნიათ ინფორმაცია ზარალის ოდენობაზე, შედეგად 22%-მა თვითშეფასებით დაიანგარიშა კომპენსაციის თანხა, რომელიც იწყება 5 ათასი დოლარიდან. 16%-ს აქვს ძალიან ოპტიმისტური მოლოდინი - 100 000 დოლარიდან ნახევარ მილიონ დოლარამდე (დიაგრამა #10). ჩვენ ვერ ვიქნებით კომპეტენტური ამ შეფასების სისწორეში. გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციის ნაკლებობა და სავარაუდო მოლოდინები, ჩვეულებრივ, ამახინჯებს რეალობას, ქმნის ნეგატიურ ფონსა და ამწვავებს სიტუაციას.

დიაგრამა 6. მოხდა თუ არა ოჯახის მიერ მიღებული ზარალის ოდენობის დაანგარიშება?




დიაგრამა 7. რამდენად არიან ინფორმირებული ზარალის დაანგარიშების პროცედურისა და ვადების შესახებ?



დიაგრამა #10-დან ჩანს, რომ დაზარალებულთა დიდი ნაწილი (72%) ელოდება კომპეტენტურ შეფასებას - ეს არის მოსახლეობის ნდობის მანდატი ქ. თბილისის მერიის მიმართ იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულთა 83,1%-ს არ გააჩნია სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი.


დიაგრამა 8. რა თანხის მატერიალური ზარალი მიადგათ სტიქიური უბედურებისას რესპონდენტებს (თვითშეფასებით) (ლარები)?



რესპონდენტთა უმრავლესობა საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი ზარალის ანაზღაურების ვადებთან დაკავშირებით. დაახლოებით ორი მესამედი მიიჩნევს, რომ 1 თვეში უზრუნველყოფენ ახალი ან რეაბილიტირებული


საცხოვრისით. მხოლოდ ძალიან მცირე 6%-ს ჰგონია რომ ეს პროცესი 6 თვეზე მეტ ხანს გასტანს (დიაგრამა #14).

დიაგრამა 9. თქვენი აზრით, სახელმწიფომ რამდენ ხანში უნდა უზრუნველყოს / რამდენ ხანში მოახერხებს ახალი ან რეაბილიტირებული საცხოვრისით უზრუნველყოფას?




როგორც ჩანს, სახელმწიფო მოხელეებმა ჩაატარეს საინფორმაციო კამპანია, რადგანაც გამოკითხულთა დაახლოებით 42,2%-ს გააჩნია ოფიციალური, ზეპირი ფორმის დაპირება - კომპენსაციის ვადებისა და პირობების თაობაზე (დიაგრამა #15). შესაბამისად, სახელმწიფოს (სავარაუდოდ, ქ. თბილის მერიის) მხრიდან დაპირებული მიდგომა თითქმის 80%-მა შეაფასა, როგორც სამართლიანი (დიაგრამა 16).

დიაგრამა 10. სახელმწიფო სამსახურების მიერ დაზარალებულთა ინფორმირება საცხოვრებლით დაკმაყოფილების ვადებსა და პირობებზე?




დიაგრამა 11. რამდენად სამართლიანად მიაჩნიათ საცხოვრებლით უზრუნველყოფის შეთავაზებული მიდგომა




მოსახლეობაში სამართლებრივი ცნობიერებისა და უფლებების დაცვის კულტურის დაბალი დონე კვლავ დასტურდება დიაგრამა #17-ისა და #18-ის მაჩვენებლებით. მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის ცნობილია სახელმწიფოს უპასუხისმგებლო პოლიტიკა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა 83,1%-ს არანაირი იურიდიული კონსულტაცია არ გაუვლია, 12% ეყრდნობა ქ. თბილისი მერიის იურიდიული სამსახურის დაპირებებს, მხოლოდ 5%-ზე ცოტათი მეტმა ადამიანმა გაიარა იურიდიული კონსულტაცია სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ დამოუკიდებელ ადვოკატებთან. როგორც მათ აღნიშნეს, ადვოკატთან შეხვედრის შემთხვევაში, რესპონდენტები განიხილავდნენ ყველაზე აქტუალურ, კომპენსაციის მიღების საკითხს (37,3%). საკონსულტაციო საკითხებს შორის ლიდერობს: ბანკების, კომპენსაციის მიღების, ბინის შეფასებისა და უფლებების დაცვის საკითხები. 20,5% კი ვერ ხვდება, თუ რაში წაადგება ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე კონსულტაციის მიღება.

დიაგრამა 12. ვისგან მიიღეს იურიდიული კონსულტაცია დაზარალებულებმა




დიაგრამა 13. რა საკითხებზე სურთ იურიდიული კონსულტაციის მიღება მომავალში



დიაგრამა #19-ზე („როგორ უნდა მოხდეს საქველმოქმედო შემოწირულობით შემოსული თანხების დარიგება“), ნათლად ჩანს, რომ დაზარალებულები (ჯამში 52%-ზე მეტი) არ ენდობა სახელმწიფო მოხელეებს საქველმოქმედო თანხების განაწილებაში. მოითხოვენ, კომისიას საჯარო და არასამთავრობო, ან მეტიც, საქველმოქმედო ფონდების მონაწილეობით. პირად საუბრებში ამბობდნენ ფრაზას: „ფულის გაცემა გაუჭირდებათ. ეცდებიან, ჩვენ დასახმარებლად ხალხის მიერ შეგროვილი თანხებით, სხვა პრობლემები მოაგვარონ“.

დიაგრამა 14. როგორ უნდა მოხდეს საქველმოქმედო შემოწირულობით შემოსული თანხების დარიგება



დაზარალებულთა ორი მესამედი აცხადებს, რომ არაფერი იცის სახელმწიფო სოციალური რეაბილიტაციის გეგმებისა და ვადების თაობაზე. დანარჩენი ამბობს, რომ ფლობს ზოგად ინფორმაციას (ერთიდან 3 თვემდე).

ოფიციალური ინფორმაცია: 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად გარდაცვლილია 19 ადამიანი, აქედან იდენტიფიცირებულია 17 (7 კაცი და 10 ქალი), უგზოუკვლოდ დაკარგულია 6 ადამიანი (5 კაცი და 1 ქალი). სტიქიის შედეგად დაზიანდა თბილისის ზოოპარკიც. ოფიციალური ინფორმაციით, სტიქიის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა 100 მილიონ ლარს აჭარბებს.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით, 22 ივნისის მდგომარეობით, (დაზღვეული პირების) 160-მდე ავტო-სატრანსპორტო, კერძო და იურიდიული პირის ქონების ზარალი აღინიშნება, რამაც 3,5 მლნ ლარს გადააჭარბა. სტატისტიკური მონაცემებით, ავტომობილების დაზღვევის პორტფელმა სადაზღვევო სექტორში 15 936 007 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი მოპოვებული პრემიის 13,75%-ია. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, ბაზარზე 14 სადაზღვევო კომპანია ოპერირებს.

ქ.თბილის მერიაში, 12 აგვისტოს მდგომარეობით, მობილიზებული გასანაწილებელი თანხა - 21 672 076 ლარია.

13 ივნისის ტრაგიკულ ღამეს დაზარალებულთა მონაცემებს აერთიანებს სპეციალური ვებ-გვერდი „რას ვემსახურებით საქველმოქმედო ანგარიშებით“ - <http://help.tbilisi.gov.ge>. 2015 წლის აგვისტოსთვის შუა რიცხვებისათვის ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებულია 24 ოჯახთან. აქედან - დაპირება შესრულებულია 15 ოჯახთან, ხოლო 9 ოჯახი მოლოდინის რეჟიმშია.

13-14 ივნისის სტიქიით დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურების წესი საკრებულომ 5 ივლისს დაამტკიცა. წესის მიხედვით, დაზარალებულები ორ კატეგორიად დაიყვნენ: პირველ კატეგორიაში შედიან ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლები აღდგენას არ ექვემდებარება, ხოლო მეორე კატეგორიაში - ოჯახები, რომელთა სახლების აღდგენა შესაძლებელია. წესი ზარალის ანაზღაურების ორ ვარიანტს ითვალისწინებს: დაზარალებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავად აირჩიონ, თუ რომელი შეთავაზებით სურთ ზარალის ანაზღაურება. პირველი ვარიანტის მიხედვით, დაზარალებულ ოჯახს პირველ ეტაპზე მიეცემა სულადობის მიხედვით მისთვის განსაზღვრული ფართის ოდენობის თანხა, ხოლო მას შემდეგ, რაც დადასტურდება ოჯახის უძრავი ქონების განსახლების ზონაში მოხვედრა, თბილისის მერია მის უძრავ ქონებას სტიქიამდე არსებული საბაზრო ღირებულებით სრულად გამოისყიდის. ამ წესით სარგებლობის შემთხვევაში, დადგენილია შემდეგი კრიტერიუმები: ერთი და ორწევრიანი ოჯახისთვის გაიცემა 45 კვ.მ-ის ფართის ადეკვატური თანხა; სამი და ოთხწევრიანი ოჯახისთვის - 65 კვ.მ ფართის ადეკვატური თანხა; ხუთი და ექვსწევრიანი ოჯახისთვის - 90 კვ.მ. ფართის ადეკვატური თანხა; ხოლო 7 და მეტწევრიანი ოჯახისთვის - 110 კვ.მ ფართის ადეკვატური თანხა. მოგვიანებით, ოჯახის განსახლების ზონაში მოხვედრის შემდგომ, მოხდება მისი უძრავი ქონების სტიქიამდე არსებული საბაზრო ღირებულებით გამოსყიდვა და უკვე გაცემული დახმარების სხვაობის შევსება. ზარალის ანაზღაურების წესის მეორე ვარიანტის მიხედვით, დაზარალებულ ოჯახს შეუძლია, პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტს და თბილისის მერია მის უძრავ ქონებას საბაზრო ღირებულებით დაუყოვნებლივ გამოისყიდის.


ბლოკი 4 - გენდერული როლების აღქმა, სტიქიური უბედურების დროს

კვლევის მთავარ მიზნად დავისახეთ გაგვეანალიზებინა გენდერული როლების აღქმა სტიქიური უბედურების დროს. ახდენს თუ არა ეს ფაქტორი გავლენას ქალებისა და ბავშვების დაუცველობისა და მდგრადობის მდგომარეობაზე, როგორც სტიქიური უბედურების დროს, ასევე შემდგომ, რეაბილიტაციის ეტაპზე. ასევე, ანალიტიკურ კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება და გათვალისწინება ბუნებრივი კატასტროფების შედეგების პრევენციის პოლიტიკაში.

დიაგრამა #20-დან ჩანს, რესპოდენტთა მეოთხედი (26,8%) ფიქრობს, რომ ქალები მეტად დაუცველნი არიან ვიდრე კაცები. შეკითხვაზე „რატომ?“ პასუხობენ შემდეგი არგუმენტებით:


- მეტი ნერვიულობა უწევთ;
- ბავშვებზე ზრუნავენ;
- სახლის გაუმაგრებლობის და მარტო ყოფნის გამო;
- სუსტები და დაუცველნი არიან;
- ქალის ფსიქიკა უფრო მგრძობიარეა;
- ქალზეა ოჯახი დამოკიდებული, მას უწევს ყველაფერზე ზრუნვა.

დიაგრამა 15. თვლიან თუ არა რომ ქალები უფრო მეტად დაზარალებულნი არიან სტიქიის დროს?




პირველი რამაც დაგვაინტერესა, ეს იყო ქალის, როგორც ტრადიციული მენტალობის მქონე ადამიანის, გახსნილობის დონე საჭიროებების თუ პრეტენზიების გამოთქმისას, როგორც სახელმწიფო მოხელეებთან, ასევე სხვა ოფიციალური სტატუსის მქონე პირებთან. დიაგრამა #21-დან ჩანს, თუ რესპოდენტი ვის ანიჭებს პრიორიტეტს პრობლემებზე საუბრის დროს. თუ გამოვრიცხავთ იმ ხმების რაოდენობას, რომლებიც „თანაბრად“ გადანაწილდა, ირკვევა, რომ ქალები მაინც უფრო ქალებთან არიან გულწრფელნი. განსაკუთრებით, ოფიციალურ პირებთან ურთიერთობისას - მთავრობა, მერია, ექიმი, ფსიქოლოგი, მათ რიცხვში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და მოხალისეებიც მოხვდნენ. რაც შეეხება მამაკაცებს, დაზარალებული ქალებისთვის სულერთია, თუ ვინ გადაარჩენს მათ განსაცდელის მომენტში, სხვაობამ მხოლოდ 1% შეადგინა.

დიაგრამა 16. სტიქიური მოვლენების შემდგომ, ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების წარმომადგენლები ვის ირჩევენ ოჯახიდან სტიქიის შესახებ სასაუბროდა და საჭიროებების გამოსავლენად




თუ როგორ ნაწილდება გენდერული როლები ექსტრემალურ სიტუაციაში იკვეთება დიაგრამა #22-ზე („გენდერული რეაგირების ხარისხი სტიქიური უბედურების შესაძლო საშიშროებაზე“). მიუხედავად სტერეოტიპული ხედვისა, „ქალები მეტად დაუცველები არიან“, საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლის გადარჩენაზე 70% ქალი და კაცი თანაბრად ზრუნავს, ისევე როგორც, მოხუცებისა და ბავშვების გადარჩენაზე თანაბრად იზიარებენ პასუხისმგებლობას. თუმცა დიაგრამის თითქმის ყველა პასუხში ნაკლებად იკვეთება „ძლიერი სქესის“ ოჯახის „თავკაცის“ ტრადიციული როლი. მაგალითად, ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ეკოლოგიური ან სახლის ავარიული მდგომარეობის შესახებ წინასწარ ინფორმაციის მოპოვება, სტიქიის დროს მნიშვნელოვანი ნივთების გადარჩენა, შესაბამის უწყებებში (სამაშველო სამსახურებში) მიმართვა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები - მეტწილად ქალის ზრუნვის საგანი ხდება. დიაგრამიდან ასევე ჩანს, რომ ქალებმა უფრო სწრაფად შეაფასეს ბუნებრივი სტიქიის საშიშროება (55,4 %) და პირველებმა დაიწყეს ზრუნვა ოჯახის საჭიროებებზე. #22 დიაგრამაზე ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ნეიტრალურ, გულგრილ პოზიციას - „არც ერთი“. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეულია დაბალი ცოდნის დონით, ანუ რეალური საშიშროების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობით.

დიაგრამა 17. გენდერული რეაგირების ხარისხი სტიქიური უბედურების შესაძლო საშიშროებაზე?




სტიქიასთან ბრძოლასა და მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაში მონაწილეობის ხარისხით, ასევე, ოჯახში გენდერული როლების გადანაწილებით, ვცადეთ ქალებისა და ბავშვების დაუცველობისა და მდგრადობის მდგომარეობის დადგენა. სტიქიით დაზარალებულთა გენდერულ ხედვებში საინტერესოა ოჯახის მდგრადობის კოეფიციენტი (დიაგრამა #23). გამოკითხულთა 60,2%-მა განაცხადა, რომ „ოჯახის წევრები პრობლემებს ვწყვეტთ თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით და მივდივართ კონსენსუსამდე“. 26,5%-მა განაცხადა, რომ „ჩემი სიტყვა გადამწყვეტია“. მცირედი ვარიაციებით კი პასუხი- „მეუღლის სიტყვა კანონია“ - 13,2%. თუ ვიმსჯელებთ ამ დიაგრამით, თანასწორობის საკითხი ჩვენს ოჯახებში უკვე მიღწეულია.

დიაგრამა 18. იქნება თუ არა გათვალისწინებული თქვენი მოსაზრებები და სურვილები კომპენსაციის მიღების შემდეგ?



სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაში რესპონდენტთა გენდერული ქცევის მზადყოფნის კრიტერიუმების დადგენისას (დიაგრამა #24) მამაკაცები პოზიციებს თმობენ ქალების სასარგებლოდ. „რისკიანთა“ გრაფაში მოხვდნენ ქალები. მოხალისეებში, საქველმოქმედო და ეკოლოგიურ აქციებში, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაშიც კი ლიდერობენ ქალები. და ეს იმ პირობებში, როდესაც ოჯახების 25,6% არ იწონებს ქალების მონაწილეობას სამაშველო სამუშაოებში. რაც შეეხება დაზარალებულ სახლებში სარეაბილიტაციო (აღმდგენით) სამუშაოების განხორციელებას, აქ გენდერული თანასწორობაა - ქალებისა და კაცების მონაწილეობა თანაბარია. ვფიქრობთ, რომ ქალების ასეთი აქტიური პოზიცია გამოწვეულია ოცწლიანი სამხედრო კონფლიქტების პირობებში „გადარჩენისათვის ბრძოლის“ გამოცდილებით საქართველოში. ქალებმა საკუთარ მხრებზე აიღეს ოჯახების ეკონომიკური გადარჩენის მისია, რამაც ნაწილობრივი ცვლილება შეიტანა პატრიარქალური წყობისათვის დამახასიათებელი „ოჯახის უფროსის“ ფუნქციურ მოვალეობებში, შედეგად ოჯახებში „ლიდერისა“ და „უფროსის“ ფუნქცია ცალ-ცალკე განიხილება. რესპოდენტები პირად საუბრებში აღიარებენ კაცის „ოჯახის უფროსის“ როლს, მაშინაც კი, როდესაც „ლიდერობენ“ ყველა სოციალური საკითხის გადაწყვეტაში. დიაგრამა #29-ში იკვეთება, რომ „ლიდერობის“ საკითხზე დავა მხოლოდ რესპონდენტთა 1,8% შორის მიმდინარეობს. წარმოდგენილი ანალიზით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ გენდერულ თანასწორობაზე ცნობიერების ამაღლება აქტუალური საკითხია.


დიაგრამა 19. სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაში მონაწილეობის ხარისხი (გენდერული ქცევის მზადყოფნის კრიტერიუმების დადგენა)



შეკითხვაზე: „ყველზე მეტად რაზე გაგიცრუვდათ იმედი?“ (დიაგრამა #25) „ძლიერი მამაკაცის“ სტერეოტიპმა კრაზი განიცადა გამოკითხულთა 6%-ში. საკუთარი გადაწყვეტილებები ვერ განახორციელა რესპონდენტთა - 22,4 %-მა, ყველაზე დიდი იმედგაცრუება სახელმწიფო სტრუქტურების არაკომპეტენტურობამ გამოიწვია - 71,6%, რაც საგანგაშო სიგნალია ხელისუფლებისათვის, შესაბამისი დასკვნების გამოსატანად.


ნიშანდობლივია საზოგადოების მიმართ გაკეთებული მაღალი შეფასების ნიშნული. არც ერთ რესპონდენტს არ გამოუხატავს იმედგაცრუება საზოგადოების მოქალაქეობრივ პოზიციაზე, მოხალისეთა ქმედით და ორგანიზებულ დახმარებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით, როგორც ოცწლიანი მუშაობის შედეგი, დაიდო თბილისში, 13 ივნისს, ბუნებრივი კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის დროს.

დიაგრამა 20. ყველაზე მეტად რაზე გაგიცრუვდათ იმედი ?




შეკითხვაზე: „რა ფაქტორები ხდის ადამიანს სტიქიის წინაშე უფრო დაუცველს?“ (დიაგრამა #26) უმნიშვნელო ფაქტორად დასახელდა უფლებრივი სხვაობანი: ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობა და სხვა. მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა ქალების რეპროდუქციული როლი და პასუხისმგებლობა ბავშვებსა და მათზე დამოკიდებულ ადამიანებზე, ასევე, ფიზიკური მდგომარეობა - ჯანმრთელობა (მაგ. ქრონიკული, დაავადებები, ხანდაზმულობა), ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული ბიოლოგიური და სოციალური სხვაობა.

დიაგრამა 21. რა ფაქტორები ხდის ადამიანს სტიქიის წინაშე უფრო დაუცველს




გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს კერძო საკუთრებაზე კონტროლის მექანიზმი და ფინანსური დამოუკიდებლობის ფაქტორები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია დიაგრამა #27-ზე მოცემული გენდერული დისკრიმინაციის შემცველი რაოდენობრივი მაჩვენებლები. როგორც ირკვევა, სტიქიურ უბედურებამდე, როგორც უძრავ ქონებაზე, ასევე მიწაზე მესაკუთრეობის მაჩვენებელი კაცების სასარგებლოდ მხოლოდ 3%-ით განსხვავდება. სხვა პირთა (მამა, დედა და სხვა) მესაკუთრეთა რიცხვი 40%-ია, ანუ სქესობრივი ნიშნით ზუსტი მაჩვენებელი არ გაგვაჩნია და მერყეობს 21,1%-დან 40%-ის ჩათვლით.

დიაგრამა 22. ვის სახელზეა პრივატიზებული უძრავი ქონება?




ქალების მხოლოდ 6%-მა აღიარა გენდერული პრობლემები ოჯახში. სრულებით სხვა სურათი და რაოდენობრივი მაჩვენებლები დაასახელეს იმავე რესპონდენტებმა სტრესულ სიტუაციაში გენდერული ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით: 73,7%-მა აღიარა ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმა, ფიზიკური ძალადობა - 8%-მა, ქონებაზე დავა - 7%-მა, უთანხმოება ოჯახში ლიდერის როლთან დაკავშირებით - 1,8%-მა (დიაგრამა #28, #29).

დიაგრამა 23. სტიქიამდე ჰქონდათ თუ არა ოჯახში წევრებს შორის უთანხმოება ოჯახური როლების განაწილებაზე




დიაგრამა 24. ოჯახური ძალადობის რა ფორმებმა შეიძლება იჩინოს თავი სტრესულ სიტუაციაში?



სტერეოტიპული წარმოდგენები იმდენად ძლიერია, რომ კონფიდენციალურ გამოკითხვაშიც კი, ადამიანები არ არიან გულწრფელნი, რაც ჩანს ურთიერთგამომრიცხავ პასუხებში. ასე მაგალითად, თუ რესპონდენტთა 60,2% კონსენსუსით აგვარებს გენდერულ პრობლემებს ოჯახში, მათ შორის საკუთრების საკითხში (დიაგრამა #23), მაშინ გამოკითხულთა 73%-ს რატომ სურს გაიაროს იურიდიული კონსულტაცია უძრავი ქონების (სახლი/ბინა) თანასაკუთრების წილის უფლებრივ საკითხებზე (დიაგრამა #30) კომპენსაციით შესაძენი უძრავი ქონების დაკანონებამდე? ეტყობა კონსესუს სჭირდება არგუმენტირებული სამართლებრივი საფუძველი.

დიაგრამა 25. გაივლიდით თუ არა სპეციალურ იურიდიულ კონსულტაციებს კომპენსაციის თანხით შესაძენი ქონების დაკანონების წინ?




დიაგრამა #31-დან კი ირკვევა, რომ რესპონდენტთა 50,6%-ს სურს გააფორმოს თანაბარუფლებიანი მესაკუთრის საქორწინო კონტრაქტი. ეს ფაქტი მისასაღებელია, მაგრამ ამ სამართლებრივ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი და ასახსნელი საზოგადოებისათვის.

საქართველოში ქალი, ადათ-წესების შესაბამისად, უძრავი ქონების ფლობის საკითხს წყვეტდა მამაკაცის სასარგებლოდ. დღევანდელი მონაცემი - 73%, მიუთითებს უფლებრივ ტრანსფორმაციაზე, ქალის მხრიდან კერძო საკუთრების სამართლიანად გადანაწილების მოთხოვნის მზადყოფნასა და სოციალური მდგრადობისკენ მისწრაფებაზე.


საჯარო ინფორმაცია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-1173 მუხლებით საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ქორწინებამდეც და ქორწინების პერიოდშიც (ნებისმიერ დროს). პირველ შემთხვევაში მხარეებს შორის უნდა განაწილდეს ქონებრივი უფლება-მოვალეობები, როგორც ერთად ცხოვრების პერიოდისთვის, ისე განქორწინების შემთხვევისთვისაც. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შექმნილ ქონებაზე. მეუღლეებს ასევე შეუძლიათ გააერთიანონ ამ ხელშეკრულებით მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონებაც.

დიაგრამა 26. ახალი საცხოვრისის შექმნისას მოითხოვთ (დედა, ცოლი, სრულწლოვანი ქალიშვილი) თუ არა თანაბარუფლებიანი წილის გაფორმებას?



დიაგრამა #32 პასუხობს თუ როგორ ნაწილდება სოციალური როლები, სქესის მიხედვით, იძულებით გადაადგილებისა და დროებით საცხოვრებელში ყოფნის პირობებში. თუ ისევ გამოვრიცხავთ მონაცემებს „თანაბრად“, ირკვევა, რომ პოსტკატასტროფული მდგომარეობის პირობებში, საყოფაცხოვრებო და სოციალური საკითხების მოგვარება, ისევ ქალის პრეროგატივაა - საყოფაცხოვრებო პრობლემები, კომპენსაცია, მოლაპარაკებები მოხელეებთან, დევნილობის პერიოდში ალტერნატიულ ბინაში (მეგობრებთან) ცხოვრებისა და ოჯახური პირობების გამო სამსახურში შვებულების აღების ჩათვლით. რაც შეეხება ბავშვებსა და მოხუცებს ზრუნვას, აქ მამაკაცის როლი მხოლოდ ნეიტრალურ პოზიციაში („თანაბრად“) იკვეთება.

დიაგრამა 27. როგორ ნაწილდება სოციალური როლები, სქესის მიხედვით, სტიქიური უბედურების მსხვერპლ ადამიანებს შორის, დროებით საცხოვრებელ პირობებში



დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გენდერული როლები სტიქიური უბედურების დროს ნაწილდება თანაბრად, როდესაც საქმე სიცოცხლის გადარჩენას ეხება. საინტერესო გენდერული როლი გააჩნია ქალს საქართველოს სინამდვილეში, როდესაც ყველაზე მძიმე და რთული ვითარებაა „ქალი ლიდერი“ გამოდის წინ და ასრულებს ყველაზე რუტინულ და „სტრესულ“ სამუშაოებს. ხოლო როგორც კი ლაგდება სიტუაცია და ცხოვრების პირობები სტაბილურდება, ქალი ისევ ჩრდილში დგება და ექვემდებარება დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს. ქალების 27% იმედგაცრუებულია, რომ ვერ განახორციელა ჩაფიქრებული საქმე. 72%-მა კი აღიარა, რომ კაცის ნების წინააღმდეგ წასვლით გახდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი.


ბლოკი 4 - ინფორმირებულობის ხარისხი

ქალებისა და ბავშვების დაუცველობისა და მდგრადობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის მიზნით, ძალიან მნიშვნელოვანია დაზარალებულთა ინფორმირებულობის ხარისხის დადგენა. 84%-მა არ იცოდა, რომ ისინი ცხოვრობდნენ სტიქიის ზონაში (დიაგრამა #33), დარჩენილი 16%-დან დაახლოებით 3,5%-ს ოჯახის წევრების მონათხრობიდან ჰქონდა ინფორმაცია, დანარჩენებმა გაკვრით იცოდნენ სხვადასხვა წყაროებიდან. მხოლოდ 27,7% უშვებდა მანსს, რომ ცხოვრობდა ბუნებრივი სტიქიის მაღალი რისკის ტერიტორიაზე. აქედან მხოლოდ 5% გააფრთხილეს საჯარო მოხელეებმა


მოსალოდნელი სტიქიური უბედურების შესახებ (დიაგრამა #34). 28%-მა აღიარა, რომ ჰქონდა ზოგადი წარმოდგენები სტიქიაზე. ხოლო რესპოდენტთა 72-88%-მა აღიარა, რომ უსუსური აღმოჩნდა სტიქიის წინაშე და არ გააჩნდა სტიქიასთან გამკლავების უნარ-ჩვევები (დიაგრამა #35,36,37).

პოსტსტრესული მდგომარეობის ეტაპზე, როდესაც ადამიანები უნდა აფასებდნენ სიტუაციას და შეძენილი გამოცდილებიდან გამომდინარე დასკვნების გამოტანას - რესპოდენტთა 13,2% ფიქრობს, რომ საგანგებო სიტუაციების მოგვარება მხოლოდ მაშველებისა და შესაბამისი სამსახურების საქმეა. ხოლო 40% კი მიიჩნევს, რომ სტიქიასთან გამკლავების უნარ-ჩვევების ტრენინგების გავლა ზედმეტი საქმეა (დიაგრამა #38,39,40).


დიაგრამა 28. სტიქიამდე იცოდნენ თუ არა იმის შესახებ, რომ მათი საცხოვრებელი სახლი იმყოფებოდა წყალდიდობის რისკის ზონაში?




დიაგრამა 29. საიდან იცოდნენ ამის შესახებ?




დიაგრამა 30. იცოდნენ თუ არა როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სტიქიური კატასტროფის დროს?




დიაგრამა 31. საიდან იცოდნენ




დიაგრამა 32. საკმარისი იყო თუ არა ის ცოდნა სტიქიური კატასტროფის დროს




დიაგრამა 33. უშვებდნენ თუ არა იმის შესაძლებლობას, რომ მათი საცხოვრებელი უბნის ტერიტორია შეიძლებოდა დატბორილიყო?



დიაგრამა 34. გაუფრთხილებიხართ თუ არა რომელიმე დაწესებულებას / ორგანიზაციას, რომ თქვენი საცხოვრებელი სახლი იყო დატბორვის რისკის ზონაში?




დიაგრამა 35. რა სახის ინფორმაციას და უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდნენ რისკის ზონაში მცხოვრები მოქალაქეები




ორი, თითქმის იდენტური შინაარსის დიაგრამა, #41 და #42 ნათლად გვიჩვენებს სტიქიასთან გამკლავების უნარ-ჩვევების სწავლების შემთხვევაში სტერეოტიპული ხედვის ზეგავლენას ქალისა და კაცის სქესზე. გამოკითხული ქალების 41% მიიჩნევს, რომ მათ არ სჭირდებათ შესაბამისი სწავლება, რადგანაც ეს არის „ძლიერი სქესის“ საქმე, მაგრამ შეკითხვაზე: „ქალებსა და ბავშვებს უნდა ჩაუტარდეთ თუ არა მამაკაცებისგან განსხვავებული სტიქიური კატასტროფის შედეგებთან ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური გამკლავების ტრენინგების კურსი?“ რესპოდენტთა 67% - დედები, რომლებიც პასუხს აგებენ შვილების ჯანმრთელობასა და მათ მომავალზე-მიიჩნევს, რომ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში უნდა ისწავლებოდეს სამოქალაქო თავდაცვა, პირველადი სამედიცინო დახმარება, ხანძარსაწინააღმდეგო და სტიქიასთან გამკლავების უნარ-ჩვევები.

დიაგრამა 36. გაივლიდნენ თუ არა ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესების შემსწავლელ ტრენინგების კურსს




დიაგრამა 37. ქალებსა და ბავშვებს უნდა ჩაუტარდეთ თუ არა მამაკაცებისგან განსხვავებული სტიქიური კატასტროფის შედეგებთან ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური გამკვლავების ტრენინგების კურსი




რესპოდენტთა 64,4% მტკიცედ აცხადებს (დიაგრამა #43), რომ სახელმწიფო სამსახურებს, ექსპერტთა მონაწილეობით უნდა ჩაეტარებინათ კვლევა ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცველ დასახლებულ პუნქტებში. მათ შორის, მდ. ვერეს კალაპოტის გასწვრივ. მიღებული დოკუმენტი უნდა გამხდარიყო საჯარო. დარჩენილი 30,5% ითხოვს მეტს, ყოველწლიურ მონიტორინგსა და თბილისის გარემოზე დაკვირვების გამართულ სისტემას, მათ შორის, გეოლოგიურ პროცესებზეც.

დიაგრამა 38. უნდა ჩაეტარებინათ, თუ არა სახელმწიფო სამსახურებს (მუნიციპალიტეტი, უბნის ინსპექტორი, სხვა) რისკების წინასწარი კვლევითი სამუშაოები შემდეგი მიმართულებებით? (შესაძლებელია რამოდენიმე პასუხი)



დაკვირვების შედეგების გაცნობა 50,6%-ს ურჩევნია ტელევიზიით, 27,2%-ს - ინტერნეტით. რაც შეეხება ოფიციალური სამსახურების მხრიდან ოფიციალურ შეტყობინებას, ეს ფორმა მისაღებია რესპოდენტთა მხოლოდ - 18,5%-ისთვის (დიაგრამა #44).

დიაგრამა 39. რა ფორმით სურთ ამგვარი კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება




დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ შემაშფოთებელი ფაქტი, ჩვენ შემთხვევაში ეკოლოგიური კატასტროფების რისკების შემცველ ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების უმრავლესობა (თითქმის 100%) ვერ აცნობიერებდა მოსალოდნელ საფრთხესა და იმყოფებოდა საინფორმაციო ვაკუუმში. ჩნდება შეკითხვა: „შეგვიძლია თუ არა, ეს მდგომარეობა გავავრცოთ საქართველოში არსებულ ბუნებრივ რისკ-ტერიტორიებზე არსებულ სხვა დასახლებულ პუნქტებზე?“ და თუ კი, მაშინ ხელისუფლება პასუხისმგებელია, საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფის წინასწარ დაგეგმილ დანაშაულებრივ პოლიტიკაზე ან ასეთის არ არსებობაზე.

აქ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, 2010 წლის 21 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭების შესახებ“ N435 ბრძანებულებით და „ქალაქ თბილისის საზღვრებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, გარკვეულ ტერიტორიას, რომელშიც შედიოდა „მზიურიც“, მიენიჭა განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსი. მერია აცხადებდა, რომ ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის დასრულების შემდეგ (2010 წელს), აიკრძალებოდა მთელ ხეობაში კერძო, კომერციული და საწარმოო მშენებლობები, „რადგანაც მდ. ვერეს მთელი ხეობა, თამარაშვილის ქუჩიდან გამართა მოედნამდე, გადაიქცეს ტყე-პარკად“. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა.

შეკითხვაზე: „რა ტიპის აქტივობები უნდა განეხორციელებინა სახელმწიფოს სტიქიური უბედურების რისკის ზონაში მცხოვრები პირების ზიანის შესამცირებლად?“ (დიაგრამა #45). რესპოდენტების ძალიან მცირე ნაწილი - 3,7%-ფიქრობს, რომ არაკანონიერ მშენებლობებზე ნებართვების გაცემა იყო დაუშვებელი. გაფრთხილება ხელმოწერის ჩამორთმევით დაასახელა 9,8%-მა. დაზარალებულთა 35,4% კი მიიჩნევს, რომ უნდა მომხდარიყო მოსახლეობის ევაკუაცია ან საინფორმაციო კამპანიისა და ინსტრუქტაჟის ჩატარება სტიქიის პირობებში ქცევის წესების თაობაზე. როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულებმა საკუთარ თავზე იწვნიეს სტიქიის ძალა, მაინც ძალიან რთული ყოფილა დამკვიდრებულ ცხოვრების წესზე უარის თქმა. დაზარალებულთა 20%-ს ურჩევნია იცხოვროს სტიქიის ზონაში, მაგრამ გამაგრებულ სახლებში.


დიაგრამა 40. რა ტიპის აქტივობები უნდა განხორციელდებინა სახელმწიფოს სტიქიური უბედურების რისკის ზონაში მცხოვრები პირების ზიანის შესამცირებლად?



ინფორმირებულობა, არა მხოლოდ საჯარო სამსახურების საქმეა, ეს უპირველესი მოვალეობაა მედია საშუალებებისა. მათი ვალია ამ პრობლემის მონიტორინგი გახადონ საჯარო და აქტუალური. დღეს განსაკუთრებით დიდი ძალა გააჩნია სოციალურ ქსელებს. ზუსტად ამ საინფორმაციო მექანიზმმა დარაზმა და ქუჩაში გამოიყვანა ასეულობით მოხალისე.


მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: ჟურნალისტის ანო მუქათარიძის სტატიაში-„მერიაში არ იციან ვინ განაგებს სტიქიით დაზარალებულთათვის შეგროვებულ თანხას“- ნათქვამია: „ჩემი აზრით, მერიასა და ფინანსთა სამინისტროში სათანადოდ არ არიან ინფორმირებულნი რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ჩემს შეკითხვაზე: „ვინ და როგორ განკარგავს ამ თანხებს (შემოწირულობებს)?“ ერთმანეთს ეკითხებოდნენ, დაზუსტებით არ იცოდნენ, სად უნდა მომეპოვებინა არსებული ინფორმაცია. (მით უმეტეს, თუ ეს ინფორმაცია კონფიდენციალური იყო). ეს არის ის თანხა, რომლის თითოეული თეთრი უნდა გაკონტროლდეს და ამით ყველაზე მეტად დაინტერესებული, სწორედ სახელმწიფო სტრუქტურები და თბილისის მერია უნდა იყოს. მოსახლეობა კი, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა იყოს ინფორმირებული, თუ ვინ გააკონტროლებს და კონკრეტულად რაში დაიხარჯება შეგროვებული თანხა“.

დიაგრამა 41. წყალდიდობის დაწყებისას ვის მიმართეს დასახმარებლად?




როგორც დიაგრამა #46 ასახავს, საკუთარი ძალებით სტიქიას უმკლავდებოდა 48,1%. 112-ში დარეკა რესპოდენტთა 39%-მა. სახელმწიფო სამსახურებს მხოლოდ ნახევარმა მიმართა, მათ შორის მერიის ცხელ ხაზს 3,7%-მა. ეს ციფრი კიდევ ერთხელ ადასტურებს ხალხის ნდობის მანდატს ქალაქის თვითმმართველი სტრუქტურის მიმართ. ვფიქრობ, რომ ეს რიცხვები შემამფოთებელი უნდა იყოს მერიის ხელმძღვანელობისათვის.

დიაგრამა 42. რამდენად სწრაფად უპასუხა 112-ის ოპერატორმა




დიაგრამა 43. 112-ის რეაგირება დაკავშირებისას



რესპოდენტების დაახლოებით 40%, რომელმაც ისარგებლა 112 მომსახურებით, მთლიანობაში კმაყოფილია ოპერატიულობითა და კომპეტენტურობით (დიაგრამა #47,#48).


დიაგრამა 44. სტიქიის ზონაში ყოფნის დროს რამდენად სწრაფად მოვიდა სამაშველო სამსახური?



რაც შეეხება მაშველების ქმედებებს (დიაგრამა #49, 50), აქ გვაქვს სერიოზული შენიშვნები: მაშველები, რომლებიც მოდიოდნენ აღჭურვილობის გარეშე, დიდი ალბათობით უძლურნი არიან მთავარი ამოცანის (სიცოცხლის გადარჩენა) შესრულებაში. (ყურადღება! დაზარალებულთა 25%-მა აღნიშნა ეს ფაქტი). 14,8%-ის თქმით: „მაშველები დაბნეული იყვნენ! ეს მათ არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს!“, „ზერელედ ასრულებდნენ საქმეს“ - 9,8% და საერთოდ აღმაშფოთებელი კომენტარი - „არ დამეხმარნენ!“ - 8,3%. ფაქტიურად, რესპოდენტთა 58%-მა აღიარა, რომ მათ არ ჰქონდათ მაშველების იმედი. აქედან უკვე გასაგებია, თუ რატომ ჰქონდა საკუთარი თავის იმედი ასეთი დიდი რაოდენობის რესპოდენტებს მაშინ, როდესაც ებრძოდნენ სტიქიას. მაგრამ არ ვიქნებით სამართლიანი, თუ არ აღვნიშნავთ მოსახლეობის 63,9%-ის მაღლობას, როდესაც რესპოდენტებმა შემოხაზეს გრაფა „მაშველები თავგანწირვით მოქმედებდნენ!“.

საბედნიეროდ მაშველების მხრიდან კაცის, ქალის, მოხუცის, ბავშვის ან ცხოველის მიმართ უხეშად მოქცევის ფაქტზე არც ერთ რესპოდენტს არ უსაუბრია.

დიაგრამა 45. როგორ მოქმედებდნენ სამაშველო სამსახურები



წარმოგიდგენთ რესპოდენტთა კომენტარებს, რომლებშიც ნათლად ჩანს საინფორმაციო და სამაშველო სამსახურების მიმართ დაზარალებულთა პრეტენზიები:


- „დავრეკე და მითხრეს, რომ ყველა ბრიგადა დაკავებული იყო და არ ჰქონდათ საჭირო რაოდენობის ნავეები“;
- „წყალდიდობის მეორე დღეს სახლი დაინგრა და როცა დავრეკე მაშინვე მოვიდა ბრიგადა“;
- „ვუთხარი 112 სამსახურს, რომ სასწრაფოდ სჭირდებოდა დახმარება, სამაშველო სამსახურმა მიპასუხა, რომ ბაგებში ვერ ავიდოდნენ, რადგან გადაკეტილი იყო გზა“;
- „4-ჯერ დავრეკე და მითხრეს, რომ მოვიდოდა სამაშველო“;
- „რამდენჯერმე დავრეკე და ხაზების გადატვირთვის გამო არავინ პასუხობდა“;
- „სამაშველო სამსახურიდან მიპასუხეს, რომ მოვიდოდნენ, თუმცა ძალიან გადატვირთულები იყვნენ“;
- „არ იცოდნენ, სად იყო სვანიძის ქუჩა და შეკამათება მომიწია მანამ, სანამ მივიდოდნენ“.

ბლოკი 6 - დროებითი განსახლება (განთავსება)

როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, პირველადი განთავსების შემდეგ ისინი გადაიყვანეს ახალ ადგილზე. პირველადი განთავსების პროცესი იყო სპონტანური და ნაკლებად ორგანიზებული. ოჯახების ორი მესამედი ერთად განათავსეს დროებით საცხოვრებელში. მოგვიანებით ნახევარს (47,60%) შეუქმნეს დამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობები. დარჩენილ რესპოდენტთა (48,25%) აზრი განთავსების პირობებზე რადიკალურად განსხვავდება: ძალიან კარგი -25% და ცუდი - 23,20%.

რამდენიმე ოჯახი თავიდან ცალცალკე იყო განთავსებული. თუმცა მოგვიანებით ისინი გააერთიანეს. დაახლოებით მეათედი ამბობს, რომ ამჟამად (11 რესპოდენტი) ცალცალკე ცხოვრობს.

დიაგრამა 46. რამდენად დამაკმაყოფილებელია განთავსების პირობები



განთავსების პირობებზე გამოთქმული პრეტენზიები:

- „არ არის გაზი წყალი“;
- „საცხოვრებლიდან ვერ გადაიან“;
- „ძალიან ბევრი ვცხოვრობთ ერთად“;
- „წინა საცხოვრებელში კარგი პირობები იყო და ახლა თავის სახლში არიან და ცუდი პირობებია“;
- „საცხოვრებელი პირობები არ არის დამაკმაყოფილებელი. არ არის სამზარეულო და სასადილო ოთახი“;
- „სარეცხის გარეცხვისა და საჭმლის მომზადების პრობლემა“;
- „ნორმალურია ყველაფერი, მაგრამ საკვებისა და საძინებლის პრობლემა“;
- „ჩაკეტილი სივრცეა, თუმცა ყველაფრით უზრუნველყოფილი ვართ“;
- „ახლა უსაფრთხოდ ვართ, თუმცა ძალიან სივიწროვია“;
